

№ 254 (5284)

1974 წ.

დეკემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов



ეროვნული გიგლიოთეკა

ზარდელთა შორის 80-ზე მეტი საქართველოს ჩემპიონი და მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატი.

ნორჩები არც შრომაში უღებენ ვინმეს ტოლს. ისინი მცხეთისა და გარდაბნის რაიონის მებაღეების, მევენახეებისა და მეხოსტეების კარგი მეგობრები არიან და ხშირად მოსავლის აღებაში ეხმარებიან მათ. ამ დღეებში სკოლის მშპ მოსწავლე გულანის საბჭოთა მეურნეობას ჰარხლის მოსავლის აღებაში დაეხმარა. მათ 15 ტონაზე მეტი ჰარხალი ამოიღეს, რისთვისაც მეურნეობის ხელმძღვანელობის, პარტოგანიზაციისა და მუშების დიდი მადლობა დაიხმარეს.

ი. იუსუპოვი.

სურათებზე: ზემოდან — საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის კანდიდატი მ. ქირია მუშაობის დროს; საქართველოს ჩემპიონები მძლეონოზაში ც. ბურკივილი, ზ. ზურაბაშვილი და ლ. ფარცვანია ჰარხლით სავსე ყუთებს მანქანებზე დასატვირთად ამზადებენ.

ავტორის ფოტოები.

მხმარებელიან სტუფელს

სწავლა, სპორტი და შრომა ერთნაირად უყვართ გულანის № 1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში. ამ სკოლაში აღზრდილმა ბევრმა სპორტსმენმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე; ობილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მთავარი მწვენი ვ. რეხვიაშვილი, შ. ხინჩაგაშვილი, ფ. რეხვიაშვილი; მოქი-

დავეები: ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი ო. ბერიშვილი, სტუდენტთა უნივერსიტეტის ჩემპიონი მ. ხალაძე, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები ა. აფრიაშვილი, მ. ლეჟავა, მ. მაისურაძე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში გ. გულაშვილი და სხვა ცნობილი სპორტსმენები სწორედ აქ აღიზარდნენ.

დღეს სკოლა-ინტერნატის აღსა-



გასობრივი ტელეტურნირის ფინიში

საქართველოს კომპაგშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული განყოფილების თაოსნობით მოეწყო ტელეტურნირი ჩვენი რესპუბლიკის რაიონების სპორტულ კოლექტივებს შორის. დონისძიება მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მისი მიზანი იყო მშდ კომპლექსის პროპაგანდა და სპორტის ეროვნული სახეობების პოპულარიზაცია.

შეჯიბრება ორ წელიწადს გრძელდებოდა. ტურნირში მონაწილეობდა 6000 კაცი. უიურის შემადგენლობაში იყვნენ სახელგანთქმული სპორტსმენები: ბინო ლუმაბაძე, ელენე გოკიელი, ბორის პაიჭაძე, ვახტანგ ბალაგაძე და სხვები. ორწლიანი მართონის შემდეგ უიურის ვალაწყვიტილებით შეირჩა ორი უძლიერესი კოლექტივი.

ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქცია 29 დეკემბერს 19 საათსა და 50 წუთზე ეკრანებთან იწვევს სპორტის მოყვარულთ. ტელეტურნირის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან საგარეჯოს და ზაზურის რაიონის საუკეთესო სპორტსმენები.

პ. პატარაშვილი.

ყველაზე უორი ნახტომი

მორჩი, 22 დეკემბერი. თბილისურებით ტრამპლინიდან მსტომელთა საკავშირო შეჯიბრებაში ყველაზე შორი გამოდგა ლენინგრადელი ი. კალინინის ნახტომი — 100 მ. მეორე ნახტომი უფრო „მოკრძალებული“ იყო (86 მ), მაგრამ კალინინის შედეგები ტექნიკური თვალსაზრისით ყველას მაჩვენებლებს სწობდა და გამარჯვებაც მას მიეუფთვნა — 233,3.

II ადგილი დაიკავა გორკელმა ს. სუსლოვმა — 232,4 (91,5 და 96 მ), III — კირილემა ა. ბორტიტიშვილი — 218,3 (86 და 95 მ).



აბარებენ გულ-ს ნოკეაზივებს

ქიათურის ფიზკულტურულ კოლექტივებში ახლა ყველა ასპარეზობა მშდ-ს ნორმატივების ჩასაბარებლად ეწყობა. სწორედ ამ მიზნით გაიმართეს ქიათურელმა განთავსებულმა შეჯიბრებამ მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში, რომელშიც წარმოება-დაწესებულებების 17 გუნდი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა არაიის ლაღთმა მარგანტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდმა. II ადგილზე გავილა მარგანტრესტის სამართავო ლო, ს. III — კალინინის სახელობის მალაროთა სამართავლოს წარმომადგენლები. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო კულტურის სახაზლის წარმომადგენელი ვ. ტყემალაძე, II ადგილი ერგო გ. ფეხვალაძეს (სატრანსპორტო კანტორა), III — რ. გაფრინდაშვილს (კალინინის სახელობის მალარო).

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ „განთიადის“ საქალაქო საბჭოს სიგელებით.

შ. ტატიშვილი. (ჩვენი კორ.).

ქიათურა

რიგულაკის მთის ფარდობაზე

ყაზახეთში, ჩიმბულაკის მთის ფერდობებზე დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი სამთოთხილამურეთა სამჭიდში. გამარჯვებისთვის სხვებთან ერთად იბრძოდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ყველა პრიზიორი, რომლებსაც ჩემპიონატის მედლებს პერსპექტიული ახალგაზრდებიც ეცილებოდნენ.

ქალემა ასპარეზობა სწრაფადსეებით (2250 მ, სიმაღლეთა სხვაობა 480 მ, 26 ვარი) დაიწყო. აქ ყველას აჯობა კემეროველმა ა. ასკაროვამ („ბურევსტნიკი“) — 1.42,7.

მეორე სასეობა გიგანტური სლალომი გახლდათ. 2280-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 300 მეტრი) 49 კარი მოაწყვეს. ამ სასეობაში ბადალი არ ჰყავდა ნ. პერჩაკინას (ბელორეკი, „სპარტაკი“) — 1.51,4.

ვაჯთა შორის სწრაფადსეება ყველასთვის მოულოდნელად მოიგო 18 წლის კიევის დინამოელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. ბეზურსკიმ — 1.47,0. მას 0,6 წამით ჩამორჩნენ ცნობილი ოსტატები მ. ჰუსაინოვი (ასკ, ალმა-ათა) და ს. გრიშჩენკო („შრომითი რეზერვი“, ლენინგრადი). ვაჯები გიგანტური სლალომის ტრასაზე ორჯერ გვებოდნენ. ორი ცდის ჯამში ყველაზე კარგი დრო აჩვენა

ჰუსაინოვმა — 2.36,4 და ორჯიდის ჯამშიც დაწინაურდა.

ორჯიდში მეორე ადგილზეა მინსკელი ს. პეიგანი („ბურევსტნიკი“), რომელმაც გრიშჩენკოს გიგანტურ სლალომში 2,2 წამი მოუგო.

როგორც ქალეებისთვის, ისე ვაჯების სამჭიდის ბოლო სახეობა სპეციალური სლალომი იყო. ოქროს მამიებლები ტრასაზე ორ-ორჯერ ეშვებოდნენ. ქალთა შორის ორი ცდის ჯამში ყველას აჯობეს დემა ტატიანა და ნატაშა პერჩაკინებმა (ორივე — ლენინგრადის „სპარტაკი“). უმცროსმა დამ — ტატიანამ საბოლოოდ 1.24,0 აჩვენა, ნატაშას დროა 1.25,7.

III ადგილი ერგო მოსკოვის სპარტაკელ ს. ლეგეძეს — 1.26,7.

ამ მესამე ადგილზე ლეგეძესამჭიდის ჯამში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მთაბოგებმა — 207,602 საჯარიმო ქულა. ვერცხლის მედალი ხვდა ლ. კაბანოვას (კემეროვს „სპარტაკი“) — 210,080, ბრინჯაოსი — ა. ასკაროვას (კემეროვს „ბურევსტნიკი“) — 211,289.

ვაჯთა შორის 490-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 190 მ, 50 კარი) ყველას აჯობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონმა ი. ციაგუნსმა (რიგის „ვარ-

პა“) — 1.20,8. სპარტაკელი სპორტსმენი, 18 წლის ვ. სინეტოვი კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან მას საბოლოოდ 0,6 წამით ჩამორჩა. კიროვსკელი ვ. ანდრეევი („ტრუდი“) მესამე იყო (1.21,7).


სამჭიდში შეჯიბრების ლიდერმა მ. ჰუსაინოვმა (ალმა-ათის ასკ) ამ სახეობაში VI ადგილი დაიკავა — 1.24,6, მაგრამ ესუც საემარის აღმორჩინა ოქროს მედალი მოპოვებისთვის. ჰუსაინოვს საბოლოოდ 226,080 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. ვერცხლის და ბრინჯაოს ჯილდოები „შრომითი რეზერვის“ წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს: ნ. სნეჟუროვის (ლენინგრადის ოლქი) შედეგია 226,546 ქულა, ს. გრიშჩენკოს (ლენინგრადი) — 227,297.

სტუმრებმა უკეთ ითაგაშუს

გაზეთ „ივესტისის“ პრიზისთვის მოსაბარევე სსრ კავშირისა და ჩესოსლოვაკიის პოკესტოთა ეროვნული გუნდების მესამე მატჩი უარყოფად დაძაბული გამოდგა და სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 4:3. მართალია, ანკარიში პირველი პერიოდის მე-6 წუთზე მოლცევა გახსნა, მაგრამ სულ მალე სოიმი ადაგინა წინასწორობა. მე-11 წუთზე მარტინეცის ძლიერი დარტყმის შედეგად დაწინაურდნენ სტუმრები. ანკარიში კვლავ გათანაბრდა: ჩესოსლოვაკიის გუნდის მკერის შეცდომა კარგად გამოიყენა მოლცევა და მეორე შაბა ვაჭანა მეტოქის კარში. შემდეგ ჯერ კაპუსტინმა, მეორე კვბამ თითო შიბით გაზარდეს ანკარიში და მდგომარეობა კვლავ გათანაბრდა.

მატჩის ბედი გადაწყვიტა მესამე პერიოდის პირველ წუთებზე ჩესოსლოვაკიელი აუგუსტას ზუსტმა დარტყმამ. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:3. დარჩენილ მატჩებს სსრ კავშირის ნაკრები შეეცისა და ჩესოსლოვაკიის ყინულის მოედნებზე ჩაატარებს.





ტტტ და ტტი „სპარტაკი“

ზრუნვა, 21 დეკემბერი. ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა, რიგის ტტტ-ს სპარტაკის ცხრილში მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა. დღეს მან დამაბულ ბრძოლაში დაამარცხა ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ — 87:78.

ქლივრად ითამაშეს ლიდერის უახლოესმა მდევრებმა — ლენინგრადის სპარტაკულმა. მათი მეტოქე ამჟერად უმძლავრესი ლიგის დებიუტანტი, დენაბოპეტროვსკის „სტალი“ იყო. ჩემპიონმა გამარჯვა — 95:68.

ნელ-ნელა ასწორებს სპარტაკი მდგომარეობას სვედლოვსკის „ურალმაში“. გუშინ მან მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ დაამარცხა, დღეს კი ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ მოუგო — 73:52. მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ აჯობა ვიღონის „კინბიტსის“ — 77:70.

რა მდგომარეობაა ლიდერთა ჯგუფებში 7 კალენდარული მატჩის შემდეგ ტტტ-ს 7 ქულა აქვს. მეშვიდე მოლიან: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 6 ქულა და „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — 5 ქულა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

საივალტ ფასვიკ ფეხბურთით ქულა — 0:1, ქულა — „ლინაოს“

ნევისპირელები შარშანდღეს შედარებით უფრო წესბაღ და კურადღებით თამაშობენ დაცვაში. ეს არის მათი დღევანდელი წარმატების მთავარი პირობა.

მოსკოვი. სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ადგილობრივ „დინამოს“ და ცხკას შორის გაიმართა სპორტულ დარბაზ „ოქტიანოვი“, სულ რაღაც 200-მდე მაყურებლის თანდასწრებით. ბრძოლა მეტად საინტერესო და დამაბული იყო. ტაიმი არმიულებმა მოიგეს 3 ქულით — 43:40, ძირითადი დრო კი ფრედ დამთავრდა — 80:80. დამატებით სუთ წუთშიც ბრძოლა არ შეწყვეტულა და მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე სალინოვის ზუხტი სროლის შემდეგ დაწინაურდა ცხკა — 86:87.

გუშინვე მეტოქეები ხელახლა შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად გაიმარჯვა „დინამო“ — 80:75.

გათამაშავის ცხრილი
მდგომარეობა 23 დეკემბრისთვის

კლუბი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	15	14	2	1361	—	1137 14
„დინ.“ (თბ.)	12	11	1	1075	—	987 11
„დინ.“ (გ.)	14	10	4	1198	—	1062 10
ცხკა	14	10	4	1281	—	1135 10
„ფალკონი“	14	8	6	1161	—	1155 8
„კალკი“	12	5	7	965	—	955 5
„სტროტელი“	12	4	8	966	—	1015 4
რტი	16	3	13	1253	—	1422 3
„სტატიკა“	12	2	10	947	—	1037 2
„ურალმაში“	14	1	13	1110	—	1352 1


მატჩები ლიდერთან

გასულ შაბათსა და კვირას თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიმართა 1 ლიგის კალენდარული ვაუტა საკავშირო ტურნირის მორიგი კალენდარული მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მიიღო „ბ“ ჯგუფის ერთიორგუნული ლიდერი, კიშინიოვის „პოლიტექნიკი“.

მოლოდელმა კალენდარულმა წლებულს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. მათ შორის ყველაზე საგულბსმო კვირის არმიულთა დამარცხება იყო მთავარი მოვლანე. ლიდერის თამაში გამორჩევა ლაქონიურობითა და რაციონალიზმით, ყველა — თავდასხმაში, ყველა — დაცვაში — ეს არის გუნდის მთავარი დევიზი, მაგრამ „პოლიტექნიკი“ განსაკუთრებით გამორჩევა ფარგლებს ბრძოლაში და, რაც მთავარია, ზუსტ სროლაში.

სწორედ ეს გაითვალისწინეს თბილისელებმა პირველ მატჩში, რაკაც მკაცრი შეთვალაურობის ქვეშ იყვნენ მეტოქის ლიდერები მოთამაშეები და სწრაფი (სუხარუკოვი, მთხოვოვი, კარაიონი). „პოლიტექნიკი“, როგორც ჩანს, არ ელოდა ასეთ გამორჩეულ ყურადღებას მასპინძლების მხრიდან და ამიტომ უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

პირველ ტაიმი ინიციატივას თბილისელები დაეუფლნენ, რომელიც



ბიკ წინ იყვნენ 3-5 ქულით და ტაიმი მოიგეს ანგარიშით — 39:32. შეხვედრის შემდეგ ერთხანს „ბურევესტნიკი“ იყო წინ, მაგრამ „პოლიტექნიკი“ ბოლოს და ბოლოს შეეგუა უჩვეულო ბრძოლის პირობებს. 26-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 45:45, მერე კი სტუმრები დაწინაურდნენ. მეორე ტაიმის შუა პერიოდში სხვაობამ 4 ქულა შეადგინა — 51:55. აი, ამ მომენტში კარგად ითამაშეს ქულათელაძემ და მაღალაშვილმა, რომლებმაც 5-ჯერ ზუსტად ტყურცნეს — 61:57.

ეს სტუმრები იმდენად მოულოდნელი იყო კომინოვლებებისთვის, რომ ისინი დიდხანს ვერ გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში, ხოლო, რაკაც გაერკვნენ, უკვე გვიან იყო — 66:75.

მეორე შეხვედრაში სტუმრებმა გაითვალისწინეს მანამდე დამე-

ბული შეცდომები და, მასპინძლებს თავს მოახვიეს სასურველი ტაქტიკა და ტემპი. თბილისელები წინა დღის გამარჯვების გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული და, სერიოზული ყურადღება არც მოუქცევიათ იმისთვის, რომ ტაიმი 10 ქულათ (32:42) წააგვეს. „ბურევესტნიკი“ მაშინ დადატურდა, რაკაც მეტოქე 18 ქულით დაწინაურდა. მოგებაზე ფიქრი, რაკ თქმა უნდა, აორ შეიძლებოდა. „პოლიტექნიკმა“ ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 83:70.

მოლოდენო თამაშს „ბურევესტნიკი“ ჩაატარებს თბილისში 24 25 დეკემბერს ნიკოლაევის „სპარტაკთან“.

ს. ფეხიალაძე.
სურათზე: თბილისელი სტუდენტები უტყვენ „პოლიტექნიკის“ ფარს. მ. ზარგარიანის ფოტო.

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშავის საბოლოო ცხრილი
დუბლირთა შემადგენლობანი
შეაღწეოს ლიგა

კლუბი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	30	19	8	3	50	— 19 46
„დინამო“ (მოსკოვი)	30	17	9	4	62	— 31 43
„ჩარნომორცნი“ (ოდესა)	30	15	6	9	63	— 42 36
„ტორპედო“ (მოსკოვი)	30	11	13	6	35	— 24 35
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	30	12	8	10	32	— 28 32
„ბარათი“ (ალმა-ათა)	30	12	8	10	38	— 35 32
„ზინიტი“ (ლენინგრადი)	30	13	6	11	47	— 50 32
„ზახნიორი“ (დონეცი)	29	11	8	10	34	— 27 30
„არბარტი“ (ერევანი)	29	10	10	9	37	— 34 30
ცხკა	30	8	12	10	43	— 43 28
„ფახტაშორი“ (ტაშენტი)	30	8	10	12	37	— 44 26
„ნიხტრუ“ (კიშინიოვი)	30	9	8	13	46	— 58 26
„პარბატი“ (ლვოვი)	30	6	11	13	23	— 40 23
„დინამო“ (თბილისი)	30	5	10	15	34	— 55 20
„დნაპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	30	4	12	14	26	— 52 20
„ზარია“ (ვოროსილოვგრადი)	30	6	7	17	32	— 57 19

შენიშვნა: „არბარტისა“ და „ზახნიორის“ II წრის შეხვედრა არ შემდგა. დადგენილებას ამ მატჩის შესახებ მიიღებს საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია.

II ლიგა

„პნ“ (დონის როსტოვი)	38	24	9	5	94	— 36 57
„პრ. სოვეტოვი“ (კუბანევი)	38	19	12	7	48	— 28 50
„პამირი“ (დუშანბე)	38	18	13	7	56	— 31 49
„დინამო“ (მინსკი)	38	19	11	8	58	— 41 49
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	38	18	9	11	42	— 27 45
„ბეხსტილშნიკი“ (ივანოვო)	38	17	9	12	51	— 35 43
„მეტალურგი“ (ხაბაროვო)	38	17	9	12	56	— 48 43
„პუშკინი“ (კემეროვო)	38	15	12	11	57	— 40 42
„ზვიზდა“ (პერმი)	38	17	7	14	61	— 53 41
„ნეფთიკი“ (ბაქო)	38	14	13	11	46	— 40 41
„მეტალურგი“ (ლიბეცი)	38	13	11	14	46	— 54 37
„ურალმაში“ (სვედლოვსკი)	38	11	13	14	43	— 49 35
„სინიკი“ (იაროსლავლი)	38	12	10	16	56	— 62 34
„სპარტაკი“ (ივანო ფრანკოვსკი)	38	13	7	18	33	— 56 33
„პუშკინი“ (კრასნოდარი)	38	12	8	18	46	— 53 32
„სპარტაკი“ (ორჟონიკი)	38	11	10	17	38	— 54 32
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	38	11	8	19	41	— 52 30
„ბარია“ (სიმფეროპოლი)	38	8	11	19	33	— 54 27
„ტორპედო“ (კუთაისი)	38	7	7	24	31	— 77 21
„სპარტაკი“ (ხაზარტი)	38	9	13	22	28	— 74 19

შენიშვნა: „პუშკინის“ ფეხბურთელები არ გამოცხადდნენ სათამაშოდ „პამირთან“, რისთვისაც მათ ჩაეთვალათ დამარცხებ.

ფინალის მოლოდინი

გამოვლინდა სტუდენტ ფეხბურთელთა რესპუბლიკური თასის გათამაშების პირველი ფინალისტი. ესაა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი შინ მოუგო უნივერსიტეტის გუნდს — 2:0 (პირვე-

ლი თამაში მოგებული პქონდათ უნივერსიტეტისთვის — 1:0). პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართა სოხუმის პედინსტიტუტსა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდებს შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა სოხუმელებმა. მეორე მატჩი შედგება დღეს.



კორტული დეკორაციის შენაშენი მავალითა ცნობილი ქართველი ძალოვანი დიტო შანიძე. იგი შესაშური მონღოლებით იბრძვის ფიქარნაზე და ყოველ ასპარეზობაში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს. რაკაც შანიძე გამოდის, იმედი უნდა გქონდეს, რომ იგი თანაგუნდელებს არ ულალოტებს. ზაპოროვიც ფიცარნაზე ქართველი ათლეტი გუნდის ინტერესების დასაცავად გამოდის, თორემ სამ თვეს ფიცარნაზე არ გაქარებია ავადმყოფობის გამო. დიტომ შეჩიბრების დაწვებამდე სამი კვი-

რით ადრე დაწყო ვარჯიში და შედეგებითაც გავახარა. სსრ კავშირის თასის გათამაშებაში იგი მეორე იყო ი. გოლუბცოვის (უკრაინა) შემდეგ ქვეშეუბუქი წონის ათლეტთა შორის. ვერცხლის მცირე მედალი მიიღო შანიძემ ატაცშიც, სადაც ისეთივე მაჩვენებელი მქონდა, როგორც გოლუბცოვის, მაგრამ მასზე მძიმე აღმოჩნდა. ეჭვი არ გვეპარება, რომ შანიძე კიდევ არაერთხელ გავვახარებს მაღალი მაჩვენებლებით. სურათზე: შანიძე სასპარტეო დემოდაცაში. მ. თათაროვილის ფოტო.



37 წლისა, მამრამ...

იტალიელი მიმომხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ გამორჩეულ ფეხბურთელს, წარსულში ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებში გუნდების ცენტრალური თავდასხმელის ხსენებას ალტაფინის ჩინებულ თამაშს. ალტაფინი 37 წლისაა, მაგრამ ასლა უკეთ თამაშობს, ვიდრე, ვთქვათ, ამ ხუთიოდე წლის წინათ. „იუნკერსის“ ახალი მწვერვლი პაროლა თავისებურად მიუღია გეტრანს და მხოლოდ მეორე ტაიმი გამოქყავს ხოლმე იგი მისდორსე. ალტაფინი ერთ ტაიმს სრული დატვირთვით თამაშობს და სხობია თავის ახალგაზრდა კოლეგებს. ერთი სიტყვით, ალტაფინი კარგად შეინარჩუნა სხაიერის თვისებები და იუმჯობესებს მდგომარეობას „გოლფადორების“ მუდმივ ცხრილში, რომელიც იმ დღიდან აღირიცხება, რაკ იტალიაში ერთგუნული ჩემპიონატები იმართება. „გოლფადორების“ მუდმივ ცხრილში სადღესოდ პირველ ადგილზეა გამოჩენილი ოსტატო ხ. პიოლა პიოლას რეკორდს პრაქტიკულად საერთოზე არ ეწყობება. მან 476 მატჩში 274 ბურთი გაიტანა. II დეკლუსა შევიდო ფეხბურთელი ქ. ნორდალი — 225 გოლი 291 მატჩში, III — ჯ მეცა — 218 ბურთი 348 მატჩში. ალტაფინი 433 მატჩში 211 გოლით IV ადგილზეა. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ იგი ჩინებულ ფორმაშია და ამდენად საფრთხის უქნის არა მარტო მეცას, არამედ, შესაძლოა, ნორდალის მარჯვენესაც.



ინგლისი

შაბათის მატჩებში ჩემპიონატის XXI ტურის სიურპრიზები არ აკლდა. XXI ადგილზე მყოფმა დებიუტანტმა „ჩარლზილ იუნაიტედმა“ ლიგერბულში სძლია ლიდერს — ადგილობრივ „მეინ-ტონს“, რომელსაც მიმდინარე სეზონში სულ 2 წაგება ჰქონდა და ისიც სტუმრად. ანგარიშია 3:2. მოულოდნელი იყო, აგრეთვე, „სტოკ-სიტის“ (მას საკუთარ მიწაზე არ წაუგებია ზედმეტად 27 შეხვედრა) მარცხი XIX ადგილზე მყოფ ლონდონის „არსენალთან“ — 0:2.

სიურპრიზია ბოლო, XXII ადგილზე მყოფი დებიუტანტის — „ლუტონ თა-

კოლანდია

როტერდამის „ფეინორდმა“ საკუთარ მიწაზე „განადგურა“ I ლიგის დებიუტანტი „გაგენინგენი“ — 8:2. ტურის ცენტრალური შეხვედრა ინდოქონში ადგილობრივ „ფოე ვილ-პოვენსა“ და ამსტერდამის „აიაქსს“ შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამსტერდამში ენსხედეს „ტვენტეს“ ფორვარდებმა პალაქცმა, იორინგმა და ზოუდემ 3 „მარალი“ გოლი გაიტანეს „ამსტერდამის“ კარში, რომელსაც ესპანეთის ეროვნული ნაკრების მკვარე იონგლადი იცავდა — 3:0.

„ფეინორდი“ 14 50:14 24
 „ინდოქონი“ 13 40:12 23
 „აიაქსი“ 13 32:12 20

კორტუგალია

პორტუში ადგილობრივი გუნდების — „ლეიქშოისა“ და „პორტუს“ შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ამ გამარჯვებამ „პორტუს“ შეუნარჩუნა ლიდერის პოზიცია. ლისაბონის „ბენფიკამ“ მოუგო ლისაბონის „ატლეტიკოს“ — 3:0.

ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ლისაბონის „სპორტინგმა“ ფრედ ითამაშა თანაქალაქელ „ორიენტალთან“ — 0:0.

„პორტუ“ 13 26:9 22
 „ბენფიკა“ 13 27:5 21
 „ვიტორია“ (გამარაში) 13 35:16 20

გაღვიძი

მოლენბეკის „რასინგ ვიტამ“ სტუმრად აჯობა „ლიერსს“ — 4:1, ბრიუსელის „ანდერლექტამ“ კი შინ მოუგო „მექელსს“ — 2:0.

„რასინგ ვიტი“ 17 42:15 27
 „ანდერლექტი“ 17 31:10 23
 „მექელსი“ 17 30:16 22

თურქეთი

სტამბულის „გალათასარაიში“ დაამარცხა I ლიგის დებიუტანტი „ზონგულდაკსორი“ — 3:0. სტამბულის „ბეშიქთაშმა“ მოუგო ჩემპიონს, სტამბულის „ფენერბახეს“ — 2:1.

„გალათასარაი“ 12 17:4 19
 „ბეშიქთაში“ 12 12:7 16
 „ფენერბახე“ 11 19:10 15

გერ

XII ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო იენში ადგილობრივ „კარლ ცაისს“ და „მაგდებურგს“ შორის. მატჩის გმირი იქნა „კარლ ცაისის“ გარემარბი ფოგელი აღმონდა, რომელმაც 3 გოლი გაიტანა სტუმართა კარში. მისმა გუნდმა გაიმარჯვა — 3:1, თვით ფოგელი კი 10 გატანილი გოლის სათავეში ჩაუდგა სწრაფობა სიას.

„კარლ ცაისი“ 12 24:6 22
 „მაგდებურგი“ 12 30:15 19
 „შტალი“ (რიზა) 12 20:16 16

ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ განვლილ კვირას თავის მიწაზე მოუგო „რეალ სარაგოსას“ — 1:0. „ბარსელონას“ სტუმრად წააგო „ელჩესთან“ — 0:1, ბარსელონიის „ესპანოლთან“ კი შინ აჯობა ალიკანტეს „პრეკულესს“ — 2:1. სან-სებასტიანის „რეალ სოსა-ელადამა“ და მადრიდის „ატლეტიკომ“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

13 ტურის შემდეგ ლიდერობს მადრიდის „რეალი“ — 21 ქულა, 17 ქულით II ადგილზეა „ესპანოლი“, ხოლო მესამეზე — „ბარსელონა“ — 16 ქულა.

საფრანგეთი

„სენტ-ეტიენმა“ მოუგო ბორდოს „ჰირონდესს“ (2:0) და განიტყვეა ლიდერის პოზიცია. „ბასტიამ“ რემსში დაამარცხა ადგილობრივი გუნდი — 1:0, ხოლო „ნანტმა“ — „მონაკო“ — 4:2. მონაკოელთა ორივე გოლის ავტორი ჩემპიონატის საუკეთესო სწრაფი პრეზენტაციის მფლობელი იყო. „სო-შომ“ და მარსელის „ოლიმპიკმა“ ითამაშეს ფრედ — 1:1. ამ მატჩში მასპინძლებს უპირატესობა ჰქონდათ და წინაპიყენებ, მაგრამ მარსელელთა ფორვარდმა, ბრანდოლდმა პაულო ცუზარმა მოატყუა რამდენიმე მცველი და გაქვითა ანგარიში.

„სენტ-ეტიენი“ 21 57:23 29
 „ბასტია“ 21 29:18 28
 „რემსი“ 21 35:23 27

აპტივია

ამას წინათ სამტრედიასი გაიმართა რაიონის ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა და იმსჯელა მისი გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

მოსენებით გამოვიდა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. კალაძე.

მოსენებში აღიზნული იყო, რომ რაიონში 130 ფიზკულტურული კოლმეტეი აერთიანებს 17.500 ფიზკულტურულ, მოქმედებს ბავშვთა სპორტსკოლა და 4 სპორტსა-ზოგადოება. გაწეულია სათანადო მუშაობა სპორტის ეროვნულ სახეობათა აღორძინებისთვის, რამაც განაპირობა ის, რომ ქართულ კონკრეტულ სპორტში მონაწილეობის უფრო მეტი ერთგვარი წარმატებები მოაგვიტოვო.

მომსენებელმა და კამათში გამოსულმა ამაზილს ნაკლოვანებები. მაგალითად, რაიონის 12 ათასი მოსწავლეა სპორტულ სექციებში მხოლოდ 4 ათასია ჩამოყალიბებული. სოფლების ოფთის, კარმალის, წიანუბნის და სამტრედიის 1-ლ, წიანუბნის და რვაწლიან სკოლებში სპორტის მასობრივი განვითარებისთვის არავითარი პირობები არ არის. ბავშვთა სპორტსკოლის 475 მოსწავლე რაიონის სხვადასხვა სპორტულ ბაზაზე მეტადინეობს.

აპტივია


უმოქმედობის ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების, კოლმეტრებისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლმეტეების მათ მუშაობას სპორტსაზოგადოებები უნდა წარმართავდნენ, მაგრამ მათ სატრიაბაზო მინცდამიანი არაფერი აქვთ. იყო საუბარი „ლო-კომიტეტის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის შესახებაც, რომელსაც უკეთესად შეეძლო საკავშირო შეჯიბრებაში გამოსვლა.

აქტივის მონაწილეებმა ილაპარაკეს სპორტული ბაზების მდგომარეობის შესახებ, რომელთა მოვლა-პატრონობა მეტ ყურადღებას მოითხოვს.

კამათში გამოსულმა რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მანჯგალაძემ „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების უფროსმა დ. ნიკოლაიშვილმა, სოფ. ბაშის მეურნეობის ექსპერიმენტული მეურნეობის პარტული კომიტეტის მდივანმა ი. ნაუტვიარმა და ბევრმა სხვამ გულახდილად ილაპარაკეს ნაკლოვანებებსა და მათი გამოსწორების გზებზე.

აქტივის კრება შეჯამდა საქართველოს კომპარტის სამტრედიის რაიონის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ. კრებამ სათანადო რეზოლუცია მიიღო.

ჯ. ზაზარიაძე.



სათხილამურო სპორტი

ფშმში (საფრანგეთი) გაიმართა სამთომთხილამურეთა შეჯიბრება, რომელიც ევროპის თასის გათამაშების პროგრამაში შედის. ქალთა შორის სპეციალური სლალომში მოიგო შრიტერმა (ავსტრია) — 1.28.55. სწრაფდაშვებაში უძლიერესი იყო რიდიგერი (ავსტრია). თასის გათამაშებას ელზენბაუერმა (ავსტრია) ლიდერობს. მას 46 ქულა აქვს.

ლაპასი (შვეიცარია). ევროპის თასის მამიებელი გეგები შორივი ეტაისი შეჯიბრებაში აქ ასპარეზობდნენ. სწრაფდაშვებაში თობი წინა ადგილი ავსტრიელს ერკოთ. 3500-მეტრიან ტრასაზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობა 970 მეტრი იყო, ეხვედრება ინარჯვა. პირველ დამკვირვებელს მან 2:06.43 აჩვენა, მეორე — 2:04.52.

ოკარსლორში (გერ) „ფელკორნი“ თასის საერთაშორისო გათამაშებაში გიგანტურ სლალომში უძლიერესი აღმოჩნდა ავტიტი (აშშ). 11 ადგილი მასპინძელ ფრანკს ერგო.

ჰინლი (აშშ). აქ გაიმართა აშშ-ს და ფინეთის მთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება. ქალთა შორის 4,8-კილომეტრიან რთულ დისტანციაზე ფინელმა ი. სუპონენმა და მასპინძელმა მ. რინტერმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 23.49. ვაჭები 10,6 კილომეტრზე დარბობდნენ. გაიმარჯვა ა. კივიტსმა (ფინეთი) — 39.0, მასპინძელი ჯ. მაკდარნი ფინშიან მეორე იყო — 40.32.

მალეონობა

მოსკოლო (დიდი ბრიტანეთი). ინგლისელმა ქალმა ვ. ელდერმა 600 მეტრი 1 წუთსა და 29 წამში გაიბინა, რაც დარბაზებისთვის უმაღლესი მსოფლიო მიღწევაა.

ცურვა

საპარმენტო. კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის აუზში გაიმართა მსოფლიო შეჯიბრებაში ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიო რეკორდმენი შ. ბაბაშოვისა და ე. გრინულის დუელი 440 იარდზე აკვისუფალი სტილით ცურვაში. 0,02 წამის უპირატესობით გაიმარჯვა ბაბაშოვმა — 4.18,84.

ტალბოტი და მისი სამი თანაგვანი

XXI ოლიმპიადის მასპინძლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ცურვაში გათამაშებული მელდისის მეოთხედი შინ დაიტოვონ. ამისთვის სპორტულ მთავრობა სპორტის ამ სახეობაში გუნდის რაც შეიძლება კარგად მომზადება, ნაკრების მომზადებლად კი — საუკეთესო მწვრთნელი.

როგორც ცნობილია, მიუნხენის ოლიმპიადისთვის კანადის მოცურავეთა გუნდი ცნობილია ავსტრალიელთა მწვრთნელთა დონ ტალბოტმა მოამზადა, ტალბოტის მუშაობით კანადის ცურვის კეშირი კეპუოვილი იყო და ოლიმპიადის დამთავრებისთანავე განაახლა მასთან კონტაქტი.

ტალბოტის შრომა მიუნხენის

ოლიმპიადის შემდეგ უფრო ნაყოფიერი გამოდგა. კანადელი მოცურავეები შესანიშნავად გამოვიდნენ კრისტჩიორჩში (ახალი ზელანდია) გამართულ ბრიტანულ თამაშებში. უ. კუქს 100 მეტრზე გულბა ცურვაში 0,2 წამი არ ეყო უ. რისტერის (გერ) მიერ ბელგრადში დამყარებული მსოფლიო რეკორდის (1.04,78) გამეორებისთვის.

კუქის გარდა, კრისტჩიორჩში კარგი შედეგები დატოვეს კანადელებმა გურამ, რაიტმა, ამუნდრუტმა, კუიკმა, სტიუარტმა, სტენაუზმა და კლიფმა.

გაეთა შორის თავი გამოიჩინეს რობერტსონმა, პიკელმა, მაკინონდმა, ფილიპსმა, მაკიუეგმა, კიმეტმა და მინიემ. სწორედ ზემოთ

ჩამოთვლილმა სპორტმენებმა შეადგინეს კანადის ოლიმპიური ნაკრების ბირთვი.

მაგრამ ტალბოტს მიაჩნია, რომ მონრეალის ოლიმპიადისთვის კანადის მოცურავეთა მთელი გუნდის მომზადება მარტო მას გაუჭირდება, ამ საქმეში დამხმარებელი მოითხოვა. კანადის ცურვის კეშირმა მას არც ამგვარად შეუენინა — ახლანდს კანადში საშუალოდ მოიწვიეს ავსტრალიელები ს. ბელგერი და მსოფლიო ექსპერტსმენი ტ. ბუტერი, აგრეთვე, ინგლისელი დ. სნელინგი. ეს ტრიო აქ 22 თვეს იმუშავებს.

როგორც ხედავთ, XXI ოლიმპიადის მასპინძლებს ცურვაში მართლაც სერიოზული გეგმები აქვთ.